თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4034939

ნომერი: AR1607770

თარიღი : 12.06.2018

გაცემის თარიღი : 26.06.2018

გაცნობის თარიღი : 26.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შუამთის ქუჩა N3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ასყარ ანბაყი პ/ნ 01092001532
- თბილისი კალოუბნის ქ. N 8 ბ. 15

ორგანიზაცია:
- შპს "გრანულ პლასტიკ" კოდი: 406186498

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, შუამთის ქუჩა N3, (ნაკვ.025/009), შპს „გრანულ პლასტიკ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული N 01.19.20.025.009.01.518 ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას (ღიობების რეკონსტრუქციას, დროებითი საჩრდილობლისა და აივნის მოაჯირების მოწყობას).

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შპს „გრანულ პლასტიკ“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგ. N 892018051573 23/01/2018წ., საკადასტრო კოდი N 01.19.20.025.009.01.518, ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები, ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, შუამთის ქუჩა N3, (ნაკვ.025/009), შპს „გრანულ პლასტიკ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული N 01.19.20.025.009.01.518 ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების _ ღიობების რეკონსტრუქციის, დროებითი საჩრდილობლისა და აივნის მოაჯირების მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.